



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA000035003096120

№ 2880/ს

13 / ოქტომბერი / 2020 წ.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიაში „ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერის ღონისძიების განხორციელების ინსტრუქციის“ დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი 1. დამტკიცდეს „ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერის ღონისძიების განხორციელების ინსტრუქცია და თანდართული დანართები, დანართი N1-სკრინინგის ფორმა, დანართი N2-ბავშვის შეფასების და ბავშვის/ბავშვების ოჯახის შეფასების ფორმა, დანართი N3-ბავშვის ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმა.

მუხლი 2. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის „ჯანმრთელობისა და სოციალური მომსახურების სამსახურმა“ ფუნქცია -მოვალეობების შესრულების პროცესში იხელმძღვანელოს შესაბამისი ინსტრუქციით.

მუხლი 3. კონტროლი ბრძანების აღსრულებაზე დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის „ჯანმრთელობისა და სოციალური მომსახურების“ სამსახურის უფროსს.

მუხლი 4. ბრძანება ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

მუხლი 5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერა/
შტამგდასმულია
ელექტრონულად

ჯონდო მდივნიშვილი